წელიწადი 1-ლი № 31

ორშაბათი 20 ნოემბერი 1917

რედაქტორი:
კატო მიქელაძე

გამომცემელი
ქალთა კლუბი

ხმა ქართველი ქალისა

რედაქციისაგან.
კანტორა ღიაა დილის 9 საათ. 3 საათამდე.
ავტორის მიერ ხელმოუწერელ წერილებს რედაქცია არ დაბეჭდავს.
რედაქციის მისამართი: ქ. ქუთაისი პუშკინის ქ. № 12, სახლი ბეიშვილისა შესასვლელი ჭიშკრიდან ეზოში.

ფასი 15 კ. | ყოველკვირეული საპოლიტიკო სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი | ფასი 15 კ.

თანასწორობა სქესთა წინაშე კანონისა!

ორი მთავარი საკითხი

დღეს ჩვენებურ ქალთა უმრავლესობას რომ ჰკითხო, მას შემდეგ რაც მან კენჭის ჩაგდების უფლება მიიღო, თავი სრულ სწორუფლიანი მოქალაქე ჰგონია. განსაკუთრებით იმედი აქვთ ამა თუ იმ სოციალისტურ პარტიის ქალებს და ეს იმედი არ ერყევათ მათ დღესაც, როცა ხალხის წარმომადგენლებში ჩვენი ქვეყნიდან ერთი ქალიც კი არ მოხვდება. მათ არც იმისათვის მიუქცევიათ ყურადღება, თუ როგორი პატრიარქალური თვალსაზრისით უცქერის თვით რევოლიუციონური მთავრობა ორს უდიდეს საკითხს, რომელსაც ქალთა სწორუფლებიანობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. იმ მთავრობამ, რომელმაც სიტყვით ქალების სრული პოლიტიკური და მოქალაქობრივი უფლება აღიარა სარწმუნოებრივს საკითხში შემდეგი კანონი გამოსცა: „თუ რომ მშობლები ვერ შესთანხმდებიან, იმ შემთხვევაში მცირე წლოვანი მამის სარწმუნოებას ღებულობს“.

ქალთა სწორუფლიანობის დამცველ მთავრობისაგან, თუ ის ამ სწორუფლიანობას გულწრფელად აღიარებს და სურს მისცეს მას რეალური მნიშვნელობა, მოსალოდნელი იყო, რომ ის უბრალო სამართლიანობას არ უღალატებდა და სარწმუნოებრივ საკითხში უპირატესობას დედას მიანიჭებდა, რადგან შვილების მოვლელად თავიდანვე დედები ითვლებიან და სარწმუნოებრივ გრძნობასაც ბავშები დედის კალთაში ითვისებენ და არა მამის მუხლებზე. დედები უნერგავენ შვილებს თავიანთ რელიგიურ რწმენას, მათგან სწავლობენ პირველ პირჯვრის წერას და პირველ ლოცვას რომლისათვის ახალ მთავრობას ყურადღება არ მიუქცევია.

მეორე მთავარი საკითხი, რომელსაც არც რევოლიუციონური მთავრობა და არც ესა თუ ის სოციალისტური პარტია ანგარიშს არ უწევს არის მიწის საკითხი, ჩვენ გვესმის მიწა უნდა გადაეცეს გლეხებს, მაგრამ არაფერი გვესმის გლეხის ქალზე.

ჩვენ გვეუბნებიან: „მიწა მშრომელ ხალხს!“ მაგრამ ჩვენ არ ვიცით ამ შრომელ ხალხში გულის ხმობენ ისინი მშრომელ დედაკაცებსაც თუ არა?

რომ გადავხედოთ რუსის გლეხის ცხოვრებას ის თითქმის არაფერს არ აკეთებს და მთელი სამუშაო მიწისა თავზე აწევს მის ცოლსა და შვილს.

მთელი აჭარა და ლაზისტანი ქალთა შრომით იკვებება, მაშინ როდესაც მამაკაცები თავისუფლად დარბაისლობას უნდებიან და ან ადვილი შრომით ირთობენ თავს. ომიანობის გაჭირვებამ ქართველი გლეხის ქალებიც გუთანს დაუყენა და დღეს მთელს გურია - იმერეთში უფრო მეტი მხვნელ მთესველი დედაკაცებია, ვიდრე მამაკაცები. გაუწევენ ამ მოვლენას ანგარიშს დღევანდელი სოციალისტ მამაკაცები და ერთნაირად დააკმაყოფილებენ, თუ არა ქალვაჟთა მოთხოვნილებას მიწის საკითხში, ამას მომავალი დაგვანახებს, მანამდი კი ჩვენ ქალები თვალყურს ვადევნებთ მათ მოქმედებას დამფუძნებელ კრებაზე და აქედანვე შეუდგებით სასტიკი პროტესტის განცხადებისათვის მზადებას, თუ რომ ეგ ორი უმთავრესი საკითხი გადაწყვეტილი იქმნა მამაკაცების თვალსაზრისით. როგორც რუსის, ისე ქართველი ქალები მოვითხოვთ დედის უფლების შვილებზე აღდგენას, და მშრომელ ქალ-ვაჟისათვის თანასწორ წილს მიწაზე, იმ რეფორმის მიხედვით რა სახითაც ის გატარებული იქმნება სასოფლო მეურნეობის სფეროში.

მიზეზი ქალთა მონობისა და ქალთა მოძრაობისა.

ჩვენ საკმარისად დავინახეთ, თუ როგორ ფიზიკურ და ზნეობრივ გახრწნილობამდე მიიყვანა თანამედროვე ოჯახი და საზოგადოება ერთი სქესის უპასუხისმგებლო ბატონობამ. ისტორიულად ცნობილი ფაქტია, რომ ის ეპოქა, რომელიც უფრო მდიდარია ავხორცობით, მდიდარია აგრეთვე სისასტიკით, რადგან ეგ ორი ვნება ერთიმეორეს განუყრელი თანამგზავრია.

ადვილი წარმოსადგენია, ვის უფრო დასჩაგრავდა ეს ეპოქა: დედაკაცს, როგორც ამ ხანებში ფიზიკურად დასუსტებულს და იურიდიულად უფლება აყრილს არსებას, თუ მამაკაცს ღონიერსა და პიროვნული თავისუფლებით და მოქალაქური უფლებით აღჭურვილს? რასაკვირველია, პირველს! და ყველაზე მეტად იმ ღარიბ მარტოხელ ქალს, რომელიც ასეთს უთანასწორო პირობებში ვერ უმკლავდება საარსებო ბრძოლაში უფლებიან მამაკაცის კონკურენციას. განა ბევრი შესძლებს ისეთს სიგმირის გამოჩენას, რომ გადალახოს ცხოვრების ათასნაირი უკუღმართობანი და ის დაბრკოლება, რომელიც მას ხელოვნურად წინ ელობება? ძრიელ ცოტა!

და აი ჩვენ დავინახეთ, თუ როგორ გაჭირვებაში ჩავარდნილი ქალები ბიწიერებას მსხვერპლად ეწირება, რომელშიაც ერთხელ ჩავარდნილს არავინ ხელის გამწოდებელი და პატიოსან გზაზე ამომყვანი არ უჩნდება. როდესაც დიდმა ბრიტანიამ და საერთაშორისო ფედერაციის განყოფილებამ გამსბურგში 1899 წ. მოაწყო პროსტიტუტკების შეკითხვა: „განაგრძნობდენ ისენი, თუ არა გარყვნილებას, სხვა ნაირად რომ შესძლებოდეთ თავის რჩენა?“ შემდეგი პასუხი მიიღო მათგან. „რა საქმე უნდა ვიშოვნო, როდესაც ყველას ვეზიზღები?“ მეორე სწერდა: „საავათმყოფოში ყოფნის დროს ყველას ვევედრებოდი შველას“. მესამე სწერდა, რომ მას „დედობილის“ 700 მარკა მართებს და სანამ ამ ვალს არ გადაიხდის მას არც ერთი სახლის პატრონი სახლში არ შეუშვებს! და სხვა. ჩვენმა გაზეთის მკითხველმა უწყის თუ როგორ სასტიკათ უჭირავს გარყვნილებას თავის გამხრწნელს ბრჭყალებში თეთრი მონები, საპოლიციო საექიმო ზედამხედველობისა და პროსტიტუციის რეგლამენტაციის წყალობით.

ერთი სიტყვით, ქალთა ზნეობრივად დასაღუპათ ყოველგვარი ცხადი და ფარული ნიადაგია მომზადებული თანამედროვე საზოგადოებაში, მაგრამ არავითარი პირობები მისი ადამიანური პიროვნებისა და შემოქმედობის განვითარებისათვის. ბიწიერებასა და სიგარყვნილეს კი დედაკაცისათვის განსაკუთრებით ვნება მოაქვს მით, რომ დედაკაცის სქესობრივი გრძნობიერება დაკავშირებულია ტვინის აზროვნების ნაწილთან, მაშინ, როდესაც მამაკაცის იგივე გრძნობიერება ტვინის პოლიგონალურს ნაწილში დევს, ე. ი. არა აზროვნების სფეროში. და თუ ასეთი კავშირი ვნებისა აზროვნების ნაწილთან სასარგებლოა დედაკაცისათვის მით, რომ მას შეუძლია ვნებათა ლტოლვის შეკავება მამაკაცზე მეტად, სამაგიეროთ ავხორცობას მამაკაცისათვის ინტელექტუალურად იმდენი ზიანი არ მოაქვს, რამდენიც დედაკაცისათვის, რადგან განუწყვეტელი ვნებათ აშლილობა და ხელოვნურად გაღიზიანებული ვნებითი გრძნობიერება ფლობს დიდი ტვინის ნაწილს, აჩლუნგებს მის ნიჭს აზროვნებისას, რომელსაც მიყავს ქალი გონებრივ და სულიერ გამოთაყვანებამდე. ამის მაგალითს ჩვენ ვხედავთ, როგორც უმაღლესი წრის კურტიზანკებში, ისე პროსტიტუტკებში, განსაკუთრებით მათში, ვინაც ფიზიკურად მოუწიფებლამდე შესდგომია ამ დამღუპველს გზას.

ამ საშინელს მოვლენას კაცობრიობისათვის, რამდენათაც დედრობითი სქესის ინტელექტუალური სიჩლუნგე, მასაც სიჩლუნგეს უქადის „დედის უწმინდესი მოვალეობის“ მყვირალნი ანტიფემინისტები, არა თუ ყურადღებას არ აქცევენ, არამედ პროსტიტუციის იდეოლოგებათაც გამოდიან და გვარწმუნებენ, რომ როსკიპობა არის ბუნებრივი თვისება დედაკაცისა და რომ სცდებიან ის სოციოლოგები, რომელნიც მას ეკონომიური მიზეზით, ხსნიან“. საყოველთაო ზნედაცემულობამ მიიყვანა მამაკაცების უმრავლესობა იმ დასკვნამდე ყველა ქვეყნებში, რომ ქალების ერთი ნაწილი უნდა იყოს მუქთი უპიროვნო მოსამსახურენი თავიანთ ქმრებისა და მეორე ნაწილი კი შეწირული საზოგადო ტემპერამენტის მსხვერპლად. ცხადია, ასეთს მდგომარეობას თავიანთ სქესისას და ძალმომრეობას კანონმდებელ მამაკაცებისას გულგრილათ ვერ გადახედავდენ უკეთესი მოაზროვნე ნაწილი დედაკაცებისა, და აი იფეთქა კიდეც ალშფოთებულმა თავმოყვარეობამ ჩრდილოეთ ამერიკის და დიდი ბრიტანიის მოწინავე ქალებისამ, რომელთ მოძრაობის გასროლილი ძლიერი ტალღა მთელს მსოფლიოში გაიტყორცნა, და თითქმის დღეს ყველგან ოდნავ კულტურულ ქვეყნებში ქალები თავის ადამიანური უფლებისა და პიროვნების დასაცველათ აამხედრა.

აი მიზეზი ქალთა მოძრაობისა, რომლის მიზანია დაიცვას თავის სქესი იმ გახრწნისაგან და გონებრივ გადაგვარებისაგან, საითკენაც აგრე ურცხვათ და ტლანქათ ისვრიან ხოლმე გაჭირვებაში მყოფ ქალებს უზნეო ეგოიზმით დაბრმავებული ნაწილი მამაკაცებისა.

რჩევა და დაპირება დღევანდელს სოციალისტებისა, რომ ქალები გან

თავისუფლდებიან სოციალიზმში, პროლეტარიატის განთავისუფლებასთან ერთად, ჩვენ თვალში ამართლებს იმ ანდაზას, რომელიც ამბობს „პეტრეს მოსვლამდე პავლეს ტყავი გააძვრესო“. და ამისთვის ვდგამთ რა დამოუკიდებელ ნაბიჯს, ჩვენ განვაგრძობთ ჩვენი უკეთეს მორეულ დების არჩეულ გზაზე სვლას. იმედი, რომ ქალები განთავისუფლდებიან პროლეტარიატის დიქტატურის დროს კიდევ შესაძლებელი იქნებოდა გვქონოდა, რომ პროლეტარი ქალ-ვაჟი ერთნაირ პირობებში დაგვენახა დღეს უფლებრივათ. დღევანდელი ქალთა მონობით სარგებლობს არა ერთი რომელიმე კლასი მამაკაცებისა, არამედ ყველა კლასის მამაკაცების უმრავლესობა ერთნაირად. ჩვენ ვერსად ვერ ვნახეთ ისეთი გლეხი და მუშა, რომელსაც უარი ეყოს თავის უფლებრივი პრივილეგია, მამისა და მემკვიდრისა თავიანთ დებისა და ცოლის წინაშე. თეთრი მონებით სარგებლობენ არა მარტო ბურჟუები, აგრეთვე თვით ქალთა „განმათავისუფლებელი“ პროლეტარიატი და მშრომელი გლეხთა შვილები, ჯარის კაცნი. ქალთა უპიროვნო ცხოვრება და მოქალაქური უუფლებობა, იმდენათ მწვავეა, ყოველი შეგნებული დედაკაცისათვის, რომ ჩვენ ვფიქრობთ, მისი სიმწარე ოდნავ მაინც, რომ ხვდებოდეს მამაკაცის გულს თანამედროვე სოციალისტები ასეთ რჩევასაც არ მოგვცემდენ, რომ სოციალიზმის განხორციელებამდე მონების უღელი მოთმინებით სწიეთ“ო. უფლებრივ საკითხში ქალებსა გვაქვს საერთო ინტერესი და სანამ ქალ-ვაჟთა პოლიტიკური და მოქალაქური უფლება არ იქნება თანასწორად სწორუფლებიანი, მანამ არც შესაძლო იქნება ამ საერთო ინტერესის უარისყოფა და ქალთა მოძრაობის ამა, თუ იმ პარტიულ ჩარჩოში მოთავსება.

საერთო ბრძოლამ ქალებისამ გასტეხა ინგლისის პარლამენტის კარები, რომელსაც იქაური მთავრობა აგრე შეუპოვრად ურაზავდა ქალებს და გახადა ისინი სწორუფლიანი. და საერთო მოძრაობა მოგვანიჭებს ჩვენც ადამიანისა და მოქალაქის უფლებას, თუ რომ ქართველი და რუსის ქალები უუფლებოთ დაგვტოვა მამაკაცების, დამფუძნებელმა კრებამ ახლო მომავალში.

ჩვენ დავინახეთ, თუ როგორი თანდათანობით დაამონავა დედაკაცის პიროვნება მილიტარიზმის განვითარებამ.

ქალთა სწორუფლიანობის განმტკიცების დროს თავისუფალი მოქალაქე დედრობითი სქესი პირველ თავის ძალას და უფლებას გამოიჩენს ამ ბარბაროსული სახელმწიფოებრივი ფუნქციის აღმოსაფხვრელად, რომელსაც მისგან ნაშობი კაცობრიობა მსხვერპლათ ეწირება. მილიტარიზმმა დაამონავა დედაკაცი და თავის განთავისუფლებასთან ერთად დედაკაცი მოსპობს მას, რომელმაც ამდენი სიმხეცე და ბოროტება შემოიტანა და დასთესა კაცთა ცხოვრებაში. თავისი ხანგრძლივი ტანჯვის სამაგიეროთ ამ სიკეთით გარდაუხდიან მამაკაცებს უფლებიანი ქალები.

კატო მიქელაძე.

ქ. თფილისი.

ლექცია პროფესორ ჩემოდანოვისა.

22 ოკტომბერს ქალების უმაღლეს კურსებზე. კავ. ქალთა საზოგადოების მოწვევით პროფ. ჩემოდანოვმა წაიკითხა ლექცია „ქალი და რევოლიუცია“. ლექტორმა აღნიშნა ქალების გარემოება წარსულში, მიუთითა იმ მოვლენას, რომ პირველ განათლებულ ქვეყანაშიც, როგორიც იყო საბერძნეთი ქალებს შეკრული ქონდათ გზა თავისი ნიჭი განევითარებიათ. მიუხედავათ ამ დაბრკოლებისა მაინც გამოდიოდენ ნიჭიერი მცოდნე ქალები, როგორიც იყო ასპაზია, რომლის აზრს ანგარიშს უწევდენ მათი დროის ბრძენი და მეცნიერი მამაკაცები.

„ზოგიერთ მამაკაცებს“, განაგრძო ლექტორმა, ქალების ჩამორჩენა უნდოდათ აეხსნათ, ვითომ ქალებს ტვინი უფრო მჩატე აქვს. მეცნიერულათ დაუმტკიცეს მოპირდაპირეებმა სიყალბე ამ აზრისა. ქალებმა ჭკუა გონება ყოველ დარგში გამოიჩინეს, იქაც კი სადაც ყველაზე მეტი ნიჭი და გონების გამჭრიახობა სჭირდება, როგორიც არის მართვა გამგეობა. ეკატერინე II ოქროს ხანა შექმნა რუსეთში, აგრეთვე ინგლისის დედოფალმა ვიკტორიამ ინგლისში“.

შემდეგ ლექტორი შეეხო დღევანდელ დროების ვითარებას, დიდი ქებით და დიდებით მოიხსენია რევოლიუციონური ქალები. აღნიშნა აგრეთვე ის გარემოება, რომ პარტიებს დიდი შიში ქონდათ, რომ ქალებს არჩევნების დროს რეაქციონერება არ გამოეჩინათ, მაგრამ ეს მოლოდინი საბედნიეროთ არ გამართლდა, პირიქით ,ეხლანდელი დემოკრატიული [illegible] თავი არსებობით ქალებს უნდა უმადლოდენ, როგორც [illegible]სობამ ხე ლი შეუწყო [illegible] ყოფ დამფუძნებელ კრებაში ლექტორ საჭიროთ მიაჩნია, მაგრამ თუ ქალები დ. კ. არ მოხვდენ ქალების უფლებას საფრთხე მაინც არ მოელისო. ლექტორი არ თანაუგრძნობს ქალების კავშირს—ამ უკანასკნელის განცხადებამ ქალებთა შორის უკმაყოფილობა გამოიწვია.

საზოგადოება მრავალი დაესწრო და დიდ გულმოდგინეთ უსმენდენ ლექტორს.

ვ. ს.

ჩვენ და პარტიული თუთუყუშები

არ იქნა და არა პარტიული თუთუყუშების გამოფხიზლება, არა ეშველა რა. დღიდან არსებობისა ქუთაისის ქალთა საერთო კლუბი და ჩვენი გაზეთი განიცდის მათგან დევნას ,,ისეთი მიმართულება მიიღო ბატონო, გაზ. ,,ხმა ქართველი ქალისამ“ მისი დღევანდელი ხელმძღვანელთა წყალობით“, თვალების პრიალით აუწყებენ ისინი. თავიანთ უფლების ბედზე დაინტერესებულთ, მაგრამ ჯერ კიდევ გამოურკვეველთ ქალებს რომ მასთან საერთოს ვერაფერს ვერ დაიჭერთ“ო. ამ სიტყვებს ისეთი ბრძნული სახით და ჭკუაზე ძალა დატანებით იტყვიან, რომ თუ საქმეზე მართლაც გული არ გწვავს ადამიანს გულიანად გაგეცინებათ. მაგრამ ვაი იმის ბრალი, რომელსაც გაზეპირებული და დაუფიქრებელი სიტყვები სიმწარით სულს აუწრიალებს იმ მოფიქრებით, რომ ასეთი მათი ლაპარაკი არა ერთსა და ორს გამოურკვეველს უფლებრივ საკით

სადი ჩვეულების განვითარება.

(ექიმი ქალი მ. ი. პოკროვსკაიასი)

იშვიათია ადამიანი, რომელიც უარსაჰყოფდეს, რომ ტანმრთელობა წარმოადგენს უძვირფასეს განძს, რომელსაც სჭირია მოვლა. მაგრამ როცა უმრავლესობას დაელაპარაკებით ჰიგიენურ ცხოვრების საჭიროებაზე ჩვენ ვხვდებით შემდეგ მოულოდნელ აზრებს: „თავიწყებ ეხლა ისეთ სისულელეზე ზრუნვას, როგორც არის კბილების სუფთად შენახვა. ამაზე უფრო დიდი საქმე მაწევს თავზე.“ რამოდენიმე ხნის შემდეგ მას აუტყდება კბილების ტკივილი; იტანჯება თვითონ და სტანჯავს სხვებს.

საჭმელის მონელება ძნელდება და ორგანიზმიც უდროოთ ბერდება. ამასთან რამდენი დრო ეკარგებათ ტყვილა და ის კი ავიწყდებათ რომ პირი სუფთად შეინახონ. შეგნება საკუთარი ტანმრთელობის შენახვის საჭიროებაზე მათში არ არსებობს და თანაც გულმავიწყობა უმთავრესად ხელს უწყობს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში პირადი ჰიგიენის უყურადღებობას.

ყოველი თავის მართლება ჩვეულებრივ უდროობით ვერ იტანს ვერავითარ კრიტიკას. საუბრიდან ყოველთვის ირკვევა, თუ რომ ადამიანმა მოისურვა მას დრო საამისოთ მუდამ ექნება. ხანდახან გვესმის გამეორება რუსის სიტყვებისა რომ სწორი წესიერი ცხოვრებით ჩვენ დავკარგავთ თავისუფლებას, ან გავხდებით მონა ჩვეულებისა. ასეთი შეზღუდულობა თავისუფლებაზე წარმოადგენს საკმარისად უცნაურ აზრს. ნუ თუ თავისუფლების იდეალი გონიერი ადამიანისათვის უწესრიგობაში უნდა მდგომარეობდეს? მოისურვოს და უნდა დალიოს დათრობამდე. მოისურვოს და გაძღეს გონებრივი ნიჭის დაჩლუნგებამდე; მოისურვოს და მთელი ღამე გაათენოს კარტის თამაშში ან გარყვნილობაში. მაშინ რითი უნდა განსხვავდეს თავისუფლება გონიერი არსებისა გარეული მხეცის თავისუფლებიდან? ჩვენ არ ვფიქრობთ რომ სასურველი იყოს ბავშის აღსაზრდელათ უკანასკნელის იდეალათ დასახვა. რამდენათაც უფრო განვითარებული და ზნეობრივია ადამიანი, იმდენათ ის უმორჩილებს თავის პირად სურვილებსა და ვნებას მოვალეობას, იმდენათ მეტი სურვილი აქვს მას დადგეს დამოუკიდებელ მდგომარეობაში სხვა და სხვა ნაირ შემთხვევებიდან.

პირადი ტანმრთელობის შენარჩუნება არის მოვალეობა თავის თავთან და მახლობელთა წინაშე. ავათმყოფობა არის არა სასურველი შემთხვევა, რომელიც გვაგდებს ჩვენ სხვის დამოკიდებულობაში. ამისათვის მას, ვისაც უყვარს თავისუფლება განსაკუთრებით უნდა აფასებდეს სადს ჩვეულებას.

მონობა მდგომარეობს იმაში კი არა, რომ ჩვენ, როგორც რიგია ისე დავაკმაყოფილოთ ჩვენი ბუნებრივი მოთხოვნილება, არამედ იმ უანგარიშო შემთხვევებში, რომელიც გარშემოხვეული გვაქვს უწესო ცხოვრებაში. შეადარეთ ის ადამიანი, რომელსაც კარგი ჩვეულებით შეუნახავს ტანმრთელობა, ენერგია და ძალა საწყალს ავათმყოფ არსებას, რომელსაც დაუკარგავს ისენი თავისუფლების ცუდათ გაგებით! ამ ორში რომელია უფრო თავისუფალი? რასაკვირველია, პირველი. ტანმრთელობა ეხმარება მას იპოვნოს საშვალება დამოუკიდებელ ცხოვრებისათვის. ტანმრთელობა ეხმარება მას გაბედულათ შეხვდეს გაჭირებას. მიახწიოს აღნიშნულს მიზანს, უარჰყოს გამოუდეგარი და უნაყოფო შრომა. ყველა ეს მიუწდომელია მეორისათვის. ჩვენ არ გსურს შევავიწროოთ ჩვენი თავისუფლება მით, რომ დღეში რამოდენიმე წუთი მოვანდომოთ კბილების გაწმენდას და როცა აგვტკივდება ის ვარდებით მის მონობაში რამოდენიმე დღით. ჩვენ ვუკადრისობთ ზომიერ საზრდოებას და ვრიცხავთ შევიწროებათ გარკვეულ საათში ზომიერად საზრდოებას და ამავე დროს ვიმზადებთ ისეთ მყრობელს როგორიც არის კუჭისა და წელების კატარი.

მხოლოდ სიბეცე გვიშლის რომ დავინახოთ მონობა რომელსაც თავს გვახვევს ასეთი უწესო ცხოვრება და ის თავისუფლება, რომელსაც გვაძლევს სადი ჩვეულება. ხანდახან გვესმის: „მოსაწყენია მუდამ იმაზე ფიქრი, რომ დროზე სჭამო, ისეირნო დაწვე დასაძინებლათ. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველთვის თავის თავზე ფიქრობდე.“ ამაზე ძნელია პასუხის მიცემა. თუ რომ ადამიანისათვის მისაწყენია თავის და სხვისა წინაშე მოვალეობის შესრულება მაშინ ძნელია აიძულოს ის ამის შესასრულებლად. შეიძლება მხოლოდ ვისურვოთ, რომ ასეთს ხალხს იმის მოფიქრება მაინც ექმნეს რომ თავის ბავშვებში განავითაროს ეგ სადი ჩვეულება. ჩვეულება არ გაუძნელებს უკანასკნელთ თავის საკუთარ ტანმრთელობაზე ზრუნვას, რომელიც არ დაუშლისთ მათ იყვნენ სასარგებლო და მომქმედნი წევრები საზოგადოებისა. არის ოჯახები, რომლებიც დიდს ყურადღებას აქცევენ ბავშის სწორ საზრდოებას და ძილს სასკოლო წლოვანებამდე, მაგრამ შევიდა ბავში თუ არა სამოსწავლო დაწესებულებაში მშობლები უკვე ნაკლები მოთხოვნილების ხდებიან და აძლევენ მას სრულს თავისუფლებას ცუდი ჩვეულების მოსახვეჭად. ის იწყებს ჭამასა და ძილს უწესრიგოთ და სწრაფათ არღვევს მას, რაც დიდი შრომით შექმნილ იყო. 14—15 წლის ბიჭი არა იშვიათად ნებას აძლევს თავს დაბრუნდეს სახლში ისე გვიან, როგორც ეს მას მოესურვება, რომლითაც ნელ ნელა იძენს დამღუპველს თავ-აშვებულობას. ჩვეულებრივ მშობლები მაშინ იცემენ თავში ხელს, როცა უკვე ბავში შესულია დამოუკიდებლობის გემოვნებაში, რომელშიაც თხოვნა და წყრომა არავითარ გავლენას არ ახდენ.

ში მუშა ქალს გზას დაუბნევს. ამ ქალებს, რომელთაც ესა თუ ის პარტია კიტრის ფასსაც არ აძლევს გონებრივათ, რაც დაანახვეს კიდეც მათმა ამხანაგ მამაკაცებმა თავიანთ პარტიულ კანდიდატთა სიაში, სადაც ქალები ზოგს სულაც არ დაუსახელებია და ზოგმა კი ისეთს ადგილზე მოათავსა მათი სახელები, რომელთ არჩევა შეუძლებელია, სრულიად აკმაყოფილებს პარტიის იარლიკი, რომლის ძალით მათ სიმწიფის ატესტატი ეძლევა პარტიიდან, მხოლოდ მისთვის მამაკაცების მიერ წარმოთქმული აზრები გაიზეპირონ და ილაპარაკონ სადაც მოუხდებათ. აზროვნების სიზანტემ მათში ჩაკლა ყოველი ძიების სურვილი და ვერ ხედავენ, თუ რამდენათ დღევანდელი სოციალისტი და ბურჟუა ერთ სულოვნურად იქცევიან ქალთა საკითხში და ან განგებ თვალს არიდებდენ იმ აშკარა უსამართლობას, რასაც დღევანდელი მამაკაც—სოციალისტების მთავრობა სჩადის ქალთა მიმართ. შეიძლება ეს სიბეცე, იმითაც იყოს გამოწვეული, რომ უძლიერესი პარტიის ქალების ის ნაწილი, რომლებიც დღევანდელ მთავრობის წრეს ეკუთვნიან ბევრად აღმატებულად გრძნობენ თავიანთ თავს, ვიდრე ოდესმე უგრძვნიათ. მათ გვერდზე გაუარა იმ გაჭირვებამ, რასაც დანარჩენი ქალების უღარიბესი ნაწილი განიცდიან დღევანდელს უცნაურს ეკონომიურ მდგომარეობაში, რომელთ პიროვნულს შევიწროებას არავითარი ცვლილება არ ეტყობა ახალ მთავრობის ხელში.

დღეს ჩვენ ვხედავთ ლუკმა პურის საპოვნელად ადგილის მაძებარს ქალებს, რომლებსაც ამდენს ახალ დაწესებულებებში მენშევიკების მთავრობის დროს ყველგან ვარით იტლმრებდენ. მაშინ, როდესაც მრავალ უვიცს და სრულიად მოუმზადებელს ვაჟებს 100—200 მანეთიან ადგილზე აჯენენ. „სოციალისტურმა“ მთავრობამ აშკარად დაგვანახა ქალებს თავიანთი პატრიარქალური სულის კვითება და რომ ქალთა შრომას ძველ მთავრობაზე უკეთურად არც ის არ უცქერის. დღეს როგორც ძველი, ისე ახალი მთავრობა ხელს უწყობს არა ღარიბ ქალთა ცხოვრების გაუმჯობესობას, არამედ მისი ნივთიერი გაჭირვების გამწვავებას, რომ უფრო სუსტი ნაწილი ახალგაზდა ქალებისა შიმშილ სიტიტვლემ არსებულ უცნაურ სიძვირეში ბიწიერების მსხვერპლი გახადოს.

როდესაც რამე საპასუხისმგებლო თანამდებობას მოითხოვენ ქალები, სოციალისტურ მთავრობას მათთვის მზად ასეთი პასუხი აქვს: „როგორ შეიძლება ქალმა შეასრულოს ისეთი თანამდებობა, რომელიც მისგან ღამით სიარულს მოითხოვს“-ო ღამით სიარულზე ქალებს აფრთხობენ ისეთს ადგილზედაც, სადაც მას შეუძლია მხლებლათ ვინმე გაიყოლოს მილიციონერი, თუ სხვა დარაჯი. სამაგიეროთ სამორიგო ადგილს, სადაც ქალს არც მხლებელი და არც გამყოლი არ ეყოლება, რომელიც მარტოხელ, ღარიბ ქალებიდან მოითხოვს ღამის სამ საათზე ადგომას და წვიმა ტალახში მოგვიანებულ დილამდე ქუჩაში გდებას, რომ რამოდენიმე გირვანქა პური ხელში მოიგდოს, ასეთს ადგილებს დიდის სიამოვნებით ქალებს უტოვებს დღევანდელი მთავრობა.

ამ თანამდებობაზე ქალები ისმენენ ყოველ გვარ ლაზღანდარობას და უწმაწურ სიტყვებს ბრიყვ და უზრდელ მამაკაცებისაგან, მაგრამ ამ მოვლენას არავინ მათგანი სახეში არ ღებულობს და არც არავინ არ აფრთხილებს მათ. ეს სამორიგო ადგილები თავისუფლად ურიგდება ქალებს განურჩევლად წლოვანობისა, ტანმთელობისა და დედობისა. ჩვილი ბავშების პატრონ ქალებს თუ სხვა თანამდებობაზე აფთხობენ. ბავშების სიკვდილით და გარყვნით, აქ სრული ნება აქვთ, როგორც ესურვებათ ისე მოექცენ თავიანთ შვილებს: უნდათ სახლში უპატრონოთ დასტოვონ და უნდათ დარსა და ავდარში შავლამისას ზურგზე აიკიდონ და ქუჩაში ატარონ, ოღონდაც ბატონ ქმრებს სახლში პური გამოულევლად ექნეს. ასეთი მოთხოვნილების ქმრები ზომეტებულ წილად ის წვრილი ქალაქის მეშჩანებია, რომელთაც ჩვენს სამშობლოში სახელად პროლეტარი დაარქვეს, თუმცა მათზე უკეთ არც პეტერბურგის პროლეტარიატი მოქცევია თავიანთ ცოლებს. ყველა ამ ფაქტების შემდეგ მიმართულება გაზეთ „ხმა ქართველი ქალისა“ მით არის ცუდი პარტიულ თუთიყუშების თვალში, რომ ის ხმა მაღლა აუწყებს მუშა ქალებს შემდეგს: „შეუძლებელია ქალთა სწორუფლიანობის მიღწევა, სანამ ქალები განურჩევლად ეკონომიური კატეგორიისა თვითონვე არ შეუდგებიან აქტიურათ თავიანთი ადამიანური უფლების დაცვას. ეს საკითხი მამაკაცს ბურჟუა არის ის, თუ პროლეტარი, რამდენათ ნაკლებ ეხება, იმდენათ არც აინტერესებს. ქალების თვით მოქმედებას შეუძლია მათი გულგრილობის დარღვევა და სინიდისის [illegible]ბის გამოწვევა მათში, რომლისთვის საჭიროა ქალთა [illegible]ულად მოქმედება-ო“ [illegible] მიმართულებას მოიწონებს ფხიზელი გონების პატრონი მუშა ქალები გაზეთ „ხმა ქართველი ქალის“ თუ პარტიულ თუთიყუშებისას, ამას მომავალი დაგვანახებს.

რიონელი ქალი.

ჟურნალ გაზეთებიდან.

პოლიტიკაში ბოლშევიკების გამოსვლას წარმატება არ მიუღია.

ხმებია, რომ რუმინიის არმიაში ნაბრძანებია შეიარაღებული ბრძოლა გაუწიონ ბოლშევიკებს და დაატუსაღონ ბოლშევიკური პოლკები და ფრონტის კომიტეტი.

აქსენტიევი

6, 8, 1 და 3 არმია, რომელიც იცავს ერთფეროვან სოციალისტურ მთავრობას, მოითხოვს აქსენტიევის კანდიდატურას პრემიერ-მინისტრობაზე.

რუმინიის ფრონტის ჯარი

რუმინიის ფრონტის ჯარი მოითხოვს ავტორიტეტულ სახელმწიფო მმართველობის საჩქაროთ შექმნას, რადგან მისი დაყოვნება ჯარის თვალში მიიღება როგორც კაპიტულიაცია ბოლშევიკების წინაშე.

ახალი რეზიდენცია

რადგან პეტროგრადი და მოსკოვი ბოლშევიკებმა ხელში ჩაიგდეს, ახალ მთავრობას თათბირი ჰქონდა მისი რეზიდენციის კიევში გადატანაზე, სადაც მოწვეული უნდა იქმნან მოკავშირე სახელმწიფოების ელჩები.

ტროცკი.

დაემორჩილენ რა ძალას, საგარეო

ასეთ შემთხვევაში მხოლოდ მშობლები ღებულობენ გადამწყვეტ ზომებს და ითმენენ დამარცხებასაც.

პირველადვე, როცა ბავშმა მოიფიქრა დამოუკიდებლობა, რომ გადაწყვეტილათ განეცხადებინათ მისთვის, რომ მას აკრძალული აქვს აგრე მოქცევა მომავალში, და შემდეგ რამოდენიმე ხნის განმავლობაში თვალყური ედევნებინათ ამ მოთხოვნილების ასრულებაში, მაშინ შედეგიც სხვანაირი მოჰყვებოდა მას და მრავალი ჭაბუკებიც შეინარჩუნებდენ ძალასა და ტანმრთელობას რომელსაც დღეს აგრე უბრალოდ ხარჯავენ.

აძლევენ რა თავისუფლებას, 14—15 წლის ბიჭს ჩვეულებრივ სახეში აქვთ, რომ ახალგაზრდა კაცს მოუხდება დამოუკიდებელი ცხოვრება ფიქრობენ, რომ შედარებითი თავისუფლებას შეუძლია განავითაროს მათში დამოკიდებულება. ცხადია, ინიციატივა და დამოუკიდებულება ძვირფასი თვისებაა, რომელთ განვითარება საჭიროა ბავშებში. მხოლოდ ასეთი თვისების განსავითარებლად არ უნდა ვხმარობდეთ ისეთი საშვალებას, რომელიც დამღუპველად მოქმედობს ფიზიკურ და ზნეობრივ ტანმრთელობაზედ როდესაც ბავშებს ვაძლევთ სრულს თავისუფლებას უწესრიგო ცხოვრებისათვის. ამით ჩვენ უეჭველია ვერ განვავითარებთ მათში სასარგებლო დამოუკიდებლობას. კანასკნელი უნდა გამოიხატებოდეს უმთავრესად შრომისა და გართობის უ

ამორჩევაში და არა ცუდი ჩვეულების შეთვისებაში.

თუ ჩვენ განვიხილავთ კაცობრიობის მთელს ისტორიას, დავინახავთ, რომ დროს განმავლობაში ხალხი უფრო და უფრო **მიდის** იმ რწმენაზე, რომ საჭიროა წესიერი ჩვეულების განვითარება. შეადარეთ ველური და ცივილიზაციის ხალხი და თქვენ დაინახავთ მათში განსხვავებას. და ეს განსხვავება მდგომარეობს იმ ჩვეულებათა დანერგვაში, რომელიც საკეთილოთ მეცხოვრებთა ტანმრთელობის შესახებ.

ველურის საზრდოება ერთობ უწესრიგოა. ის ხან სჭამს მოყიჭებამდე და აქრობს ერთად უდიდეს რიცხვს საჭმელისას და ხან იტანჯება შიმშილით. შედეგათ ასეთი უწესრიგო საზრდოებისა ჩნდება ყოველ გვარი შემთხვევა, რომლებიც ემუქრება მის არსებობას. ყოველთვის როდი უხდება ველურს საზრდოს პოვნა. დღითი დღე ის შიმშილობს ბოლოს ის სუსტდება, რასაც თან ყვება ან კანიბალიზმი და ანუ შიმშილით სიკვდილი. მოგზაურთა აღწერილობიდან ჩვენ ვხედავთ, რომ ველურებს შიმშილით უკვდება მთელი ოჯახები და თვით თემიც. მხოლოდ უფრო ღონიერნი რჩებიან ცოცხალი. ასეთ პირობებში კაცობრიობის პროგრესი უკიდურესად არა საიმედოა და არც სწორი. ანტიჰიგიენურმა ჩვეულებამ ჭამაში ჩააყენა ის მხეცთა მდგომარეობაში.

ცივილიზაციის განვითარებასთან ერთად ხალხი მიეჩვია თადარიგის დაცვას და სურსათის შენახვას, რომელმაც ხელი შეუწყო წესიერი ჩვეულების განვითარებასაც,

სურსათის დამზადებით, რომელიც იფარავდა მათ შიმშილისაგან ცოტათ თუ ბევრად ხანგრძლივათ ხალხი შეაჩვია ზომიერ ჭამასაც და თანაც განსაზღვრული დროს განმავლობაში. ნაცვლად იმისა, რომ შთაენთქათ ერთად ნახევარი ფუთი ხორცი და დაელიათ ერთი ფუთი ქონი, როგორც ამას ჩადიოდენ იაკუტელნი, რომელზედაც მოგვითხრობს სიმპსონი, ცივილიზაციური ადამიანი ანაწილებს მოცემულს რიცხვს სურსათისას რამოდენიმე დღისთვის და სჭამს ცოტ-ცოტას რაოდენჯერმე დღეში. ამის წყალობით მან დაკარგა ის სიხარბე, რომელსაც ჩვენ ვხვდებით ველურებში, როცა ისინი გარეულ მხეცივით ეძგერებიან საჭმელს და შთანთქავენ აუარებელს და უზომოს საჭმელ. ერთად ზომიერი საზრდოს მიღებით თვით კუჭმა ცივილიზაციის ადამიანისამ დაკარგა თვისება დატევისა და მონელების იმდენი მასაზრდოებელი ნივთებისა, რომელსაც ეგრე ადვილად შთენთქავს ველური.

თანდათანობით შემოსულმა ზომიერებამ ცივილიზაციის ხალხში, მისცა მათ საშვალება რამოდენიმე დღე და მთელი კვირაობით არსებობისა იმ სურსათით, რომელსაც ერთს დღეს გაჰქრობს ველური. მიუხედავათ ამისა მთელი ხარჯი ადამიანის ორგანიზმისა, რომელიც საჭიროა სითბოსა და მუშაობისათვის სრულიად უკილდოვდება მას და თანაც გაცილებით უფრო უკეთ ვიდრე ველურს. ზომიერი საჭმელით ცივილიზაციის ადამიანი ინარჩუნებს ნიჭს შრომისას საჭმლების მიღების შემდეგაც და ხდება უფრო მშრომელი, ვიდრე ველური, რომელსაც არ შეუძლია შრომა არც იმ დროს როცა მისი კუჭი დამძიმებულია უზომო ჭამით და არც მაშინ, როცა შიმშილს განიცდის. ამ გვარად წესიერ საზრდოს ანუ სხვანაირად, რომ ვსთქვათ ჰიგიენური ჩვეულებით კაცობრიობამ უფრო მეტი მოიგო, რადგან არსებობისათვის ბრძოლა გაადვილდა მისთვის და მიეცა საშუალება საზრდოს ეკონომიისა და ნაყოფიერი შრომის უნარისა.

საქმეთა სამინისტროს უფროსმა მოხელეებმა 6 ნოემბერს გადასცეს ტროცკის უჯრების გასაღებები, მაგრამ მასთან მუშაობაზე ყველა მოხელეებმა უარი განაცხადეს და არც არაფერი საქმე არ წარმოებს დღეს სამინისტროში.

პურიშკევიჩის მომხრენი

პურიშკევიჩის დაჭერის შემდეგ გამოძიებამ დაამტკიცა არსებობა ორგანიზაციისა, რომლის მიზანია სამხედრო დიქტატურის წყალობით აღადგინონ მონარქია „Н. Жизнь"-ის სიტყვებით ამ ორგანიზაციაში მონაწილეობას ღებულობდენ ზოგიერთი დიდათ ცნობილი არისტოკრატების გვარი და მემარჯვენეთა გამოჩენილი მოღვაწენი.

ფრანგები მოსკოვში

ფრანგთა კოლონიის წევრებმა მოსკოვში საერთო კრებაზე დაადგინეს შეერთდენ ერთს კომიტეტში იმ მიზნით რომ ახალი არეულობისგან თავი მოიგერონ.

არტისტების გაძარცვა

დიდი და ახალი თეატრის არტისტთა პირადი ქონება გაიტაცეს. ერთობ დაზარალდა ამ მხრივ ა. ი. იუჟინი, რომლის პირსამკავ ოთახში იყო მდიდარი სასცენო გარდერობი.

კერენსკის დეკლარაცია

მუშათა და ჯარის-კაცთა საბჭოში პრაპორშჩიკმა კრილენკომ ახალი დეკლარაცია ჯარის კაცთა უფლებისა შეიტანა. ამ დეკლარაციის თანახმათ აფიცრებს უფლება ეყრებათ ყოველგვარი განსაკუთრებული თავიანთი ჩინის ნიშნების ტარებისა. კომანდის შემადგენლობა უნდა იყოს ამორჩეული. აზრითა აქვთ გაათანასწორონ მათი ჯამაგირებიც.

ფ. ფ. ვოსკრესენსკი.

შინაური არეულობის და ჟლეტის გავლენით ფ. ფ. ვოსკრესენსკიმ თავი მოიკლა.

კერენსკის ცოლის დატყვევება

როგორც გამოირკვა წითელი გვარდიის მიერ ო. ლ. კერენსკის დატუსაღება შემდეგ გარემოებას გამოუწვევია. მიხაილოვის მოედანზე წითელ გვარდიელებს შეუპყრიათ მანდილოსანი რომელიც კედლიდან დრ. რევ. კომიტეტის პლაკატებსა გლეჯდა. მრავალი ხალხის თანგაყოლით ის მიიყვანეს პირველ სპასკის კომისარიატში, სადაც თავი ყოფილი პირველ მინისტრის კერენსკის ცოლად დაასახელა. ოქმის შედგენის შემდეგ წითელ გვარდიელებს სურდათ ის წაეყვანათ სმოლნის ინსტიტუტში, მაგრამ ხალხი წინააღუდგა მათ და მოითხოვეს მისი ქალაქის საბჭოში წაყვანა.

მილიციონერთა თანხლებით ო. ლ. კერენსკაია მიიყვანეს საბჭოში სადაც დატოვებულ იქნა. ოქმი წარუდგინეს ქალაქის თავს.

ძაღლების და კატების ბეგარა

პეტროგრადის ქალაქის საბჭომ ძაღლებზე ბეგარა სამი მანეთიდან 20 მანეთამდე გაადიდა, ეხლა ასეთს ბეგრის შემოღებას კატებზედაც აპირობენ.

ახალი ამბავი.

ეროვნული ყრილობა. დღეს 19 ნოემბ. ქ. თბილისში სახელმწიფო თეატრში გაიხსნება საქართველოს ეროვნული ყრილობა. ყრილობას გახსნის ეროვნულ-ინტერპარტიულ საბჭოს სახელით საბჭოს თავმჯდომარე ა. ი. ჩხენკელი. აირჩევა პრეზიდიუმი: თავმჯდომარე და ხუთი მისი ამხანაგი, აგრეთვე — ხუთი მდივანი, გარდა ამისა, მოწვეული იქნება ცხრა მდივანი სრული საქმეების საწარმოებლად. სამანდატო კომისიის არჩევა მიენდობა თვით ყრილობას. მილოცვები მიიღება მხოლოდ უცხო სახელმწიფოების და ერთა წარმომადგენლებისაგან.

ყრილობის დღის წესრიგი: 1, თანამედროვე მომენტი და ქართველი ერი, (მოხსენება ნოე ჟორდანიასი). 2, საქართველოს თავად აზნაურობის ქონების მიღება და მოვლა პატრონობა. (მოხსენებელი კ. ნ. აფხაზი) ქუთაისიდან სხვა და სხვა დაწესებულებების წარმომადგენლები უკვე გაემგზავრენ.

დეკაბრისტების პროცესი და მათი ცხოვრება ციმბირში

ბლაგოდატსკის მაღაროებში დეკაბრისტებმა განაცხადეს სიბრალული ვიღაც ერთი მათის ოფიცრისა რომლის გვარი იყო რიკა. მან დახურა საკუჭნაო და აღუკრძალა ამხანაგებს საერთო სადილი ვახშამი. მათ დაიწყეს შიმშილობა, რომელიც რიკამ ბუნტად გამოაცხადა რომ უბრალო სალდათებს ეხმარად თოფები და კონდახები მათ საწინააღმდეგოთ. საბედნიეროთ ამ საქმეში ჩაერია მათის უფროსი ბურლაშევი მან სასწრაფოთ მიიღო ზომები და მოწმების დასანახათ სასტიკათ სწყრებოდა, მაგრამ საკუჭნაო გახსნა და კეთილ განწყობილებით რიკა გადაიყვანა სხვა ადგილზე, გაზაფხულზე დაიწყო უფრო ძნელი მუშაობა.

მათ უხდებოდათ სამუშაოს დილის 5 საათზე დაწყება შუადღის 11 საათამდე და I საათიდან საღამოს 6 საათამდე. მათ უნდა ეზიდათ ყოველდღე ზურგით 150 ფუთი მადანი. ჩამოვიდა ახალი კომენდანტი ლეპარსკი, 12 ყაზახ-რუსით. მათის უფროსს და ყაზახებს აშინებდათ დეკაბრისტებისათვის რაიმე შეღავათის მიცემა. ივრე მიდიოდენ დღეები. ამ ხანებში იმპერატორის ტახტზე ასვლის დროც მოახწია და ავიდა თუ არა ნიკოლოზ I-ლი სამეფო ტახტზე პეტერბურგში დაარსდა ცალკე კომიტეტი რომელშიაც შედიოდენ ჩერნიშევი, დიბიჩი, მეენდორფი და სხვა, რომ შეედგინათ წესდება სახელმწიფო დამნაშავე ტუსაღების შესახებ.

ციმბირის გენერალ-გუბერნატორმა სავიცკიმ. რომელიც შემთხვევით ჩამოვიდა ციმბირში განცხადება შეიტანა, რომ ტყვეები პატარა პარტიებათ გაფანტულნი სხვა და სხვა ქარხნებში, რომელთზედაც ძნელია ზედამხედველობა არიან საშიშარნი მთელი ციმბირისათვის.

ამისათვის გარდაწყვიტეს მოეთავსებინათ ისინი ერთად ალტაის ვერცხლის მადნეულობაში, მაგრამ რადგან ციხის აშენება ამ ადგილში მოითხოვდა დროს 2—3 წელიწადს გარდასწყვიტეს დროებით მოეთავსებინათ ისინი ჩიტაში. აქ დაუნიშნეს კომენდანტათ დეკაბრისტებს სტანისლავ რომანისძე ლეპარსკი, რომელსაც ახლოთ მიღებული ჰქონდა გენერალ-მაიორის ჩინი, შთამომავლობით პოლონელ აღზრდილ პოლოცკის იეზუიტთა კოლეგიაში ლეპარსკი ითვლებოდა მარდ და განათლებულ კაცათ. ის თავისუფლად ლაპარაკობდა ფრანგულს გერმანულს და იცოდა ლათინურიც. ლეპარსკი კამანდირობდა ცხენოსანეგერის ჩდილოეთის პოლკს, რომლის შეფი იყო დიდი მთავრობის დროს ნიკოლოზ პავლეს ძე და მოიხვეჭა ისეთი სახელი რომ მასთან პოლკში აგზავნიდენ გასასწორებლათ იმ ოფიცრებს, რომლებსაც სახელათ „მოუსვენარ თავს" ეძახდენ და ლეპარსკიც მშვენიერად უსწორდებოდა მათ. ჯერ კიდევ ახალგაზრდობისაა მინდობილი ჰქონდა მას წაესხა ციმბირში პოლონელ კონფედერატებს და მან არა ჩვეულებრივი სიმარდით შეასრულა ეს მინდობილება. ის უკვე 80 წლის იყო და მიუხედავათ ასეთი წლოვანებისა მან შეურყევლად მიიღო თავის თავზე დეკაბრისტების ციხის უფროსობა, რომელიც სხვათაშორის ერთობ კარგ ფასად ჯილდოვდებოდა. ლეპარსკი ღებულობდა ჯამაგირს გენერალ-გუბერნატორზე მეტს. ფართო უფლებით და სასტიკი მოწერილობით აღჭურვილი კომიტეტიდან ლეპარსკი გაემგზავრა ციმბირში ირკუტსკში მან შეადგინა კომანდა რამდენიმე ოფიცრით მღვდლით და ექიმით. მაშინ დაიწყეს გადმოყვანა დანარჩენ დეკაბრისტებისა ციმბირში პარტიებით ოთხ ოთხი კაცით. შვიდი თვე მათ გაატარეს სხვა და სხვა სიმაგრეში ვინ პეტრეპავლეს ციხეში და ვინ სხვაგან. იაკუშინი, მურავიოვი-აპოსტოლი, ბესტუჟევი, არბუზოვი და ტუტჩევი იმყოფებოდენ რორჩენსალმში, ნესტიან და ბნელ ჯურღმულებში, სადაც მათ ასაზრდოებდენ დამპალი ლორის ხორცით და გამოუმცხვარ პურით. ასეთი ცუდი საჭმელით ბესტუჟევი და მურავიოვი ავათ გახდენ.

მიტკოვი, მეხანოგი და ლუნინი იჯდენ ვიბორგში.

პაჯიო, ვატკოვსკი, ბარიატინსკი, მორმაჩევსკი კუხელმეკერი იმყოფებოდენ კექსგოლმში უ ნევსკი მ და ნ. ბესტუჟევი, პესტელი და პუშკინი შლისებურგში.

ტყვეების გადაყვანა ერთსა დ იმავე ცერემონიალით ხდებოდა მათ უცხადებდენ უმაღლესი სასამართლოს ბრძანებას მაგრამ არ უმხელდენ მათ საცხოვრებელ ადგილს.

სიჩქარით მიყავდათ ისენი ირკუტსკში, სადაც გადასახლებულნი გებულობდენ რომ მათი დასამწვლევი ადგილი იქნებოდა ციმბირი.

პირველი პარტია ჩიტაში ჩამოვიდა იანვარში 1826, რომელიც მოათავსეს ორ ძველ შენობაში ერთობ დაბალ, ბნელსა და ნესტიანში.

კაპიტანი ლინენის ბატალიონისა, პლაც ადიუტანტი, მწერალი და დარაჯნი უმაღლესი მთავრობის ბრძანებით მათ ეძებდენ ერთობ ტლანქათ. ფულებს, ძვირფას ნივთებს, მარკას, წიგნებს ყველაფერს ართმევდენ და აგზავნიდენ კანცელარიაში.

— რა გაქვს შენს თითზე? დაუყვირა ერთს ჩამოსულს კაპიტანმა.

— ნიშნის ბეჭედი

— მოიძვრე თითიდან!

— ჩამოსულმა მშვიდათ უპასუხა, რომ მას ნებას აძლევდენ მის ტარებაზე თვით სიმაგრეებშიც.

— მოიძვრე ხელიდან, გეუბნები შენ!

ტყვეებისათვის დანიშნული შენობა ერთობ ვიწრო აღმოჩნდა. ორ ოთახში, რომელთ სიგძე 8 ალაბი იყო და სიგანე 5 ალაბი, რომელშიაც მოთავსებული იყო 16 კაცი. მესამე ოთახში 4 კაცი იწვენ თაროებზე და იმნაირად, რომ თითეულს მათგანს უწევდა 3/4 ალაბზე არა უმეტესი ადგილი, გადაბრუნების დროს ისენი ერთი მეორეს ეხეთქებოდენ და აღვიძებდენ. ჯაჭვებს არ ხსნიდენ მათ ფეხებიდან გარდა იმ შემთხვევისა როცა ისენი აბანოში ან საზიარებლად მიყავდათ.

მაისის დამლევს, როცა მიწა მოთბა დაიწყო მუშაობა. ტყვეები გაყავდათ ყოველ დღე ახალი ციხის საძირკვლის ამოსათხრელათ, სარდაფებისათვის თხრილების ამოსაღებათ და სხვა. მორიგეობით მიყავდათ ისენი ყოველ დღე ცალკე შენობაში, სადაც გაკეთებული იყო ხელით საბრუნებელი წისქვილის ქვა, რომელზედაც თითეულ მათგანს უნდა დაეფქვა ორი ფუთი ფქვილი.

1826 სექტემბერს ახალი ციხე დათავებული იყო. ამ დროს ჩიტაში ჩამოვიდენ კნეინა ტრუბეცკაია თავისი ამხანაგებით. ახალი შენობაც იყო სრული თუმცა უფრო ვიწროიყო წინანდელზე.

თაროები ლოგინებით შეიცვალა, რომელიც იყიდეს თავისი ხარჯით ტუსაღებმა. ოთახები თითქმის ყოველთვის ნახევრად ბნელი იყო.

დეკაბრისტებმა ჩიტაში გაატარეს 3 წელიწადი და 7 თვე. ღარიბ სოფლიდან ჩიტა გარდაიქცა წესიერ სოფლად, რომელმაც მიიღო გარეგნული სილამაზე დეკაბრისტების წყალობით, რომელნიც ავსებდენ ხრამებს, იღებდენ თხრილებს, და სხვა. ხაზინა რომელიც აძლევდა მათ ფულს, რომელსაც მდიდარი ნათესავები დეკაბრისტებს უგზავნიდენ ბუნებრივად გადადიოდა ადგილობრივ მცხოვრებთა ხელში და ანვითარებდა უკანასკნელთა კეთილ დღეობას. უმთავრეს ქუჩას მცხოვრებლებმაც სახელად დაარქვეს მანდილოსანთა ქუჩა, რადგან იქ დასახლდენ დეკაბრისტების მეუღლენი, რომელნიც თავიანთ ქმრებს გამოყვენ უკან.

თუ როგორი სულიერი სიგმირით და ხასიათის სიმტკიცით გაიზიარეს სრულიად თავისი ნებით ტანჯვა თავიანთ ქმრებისა ამ ფუფუნებაში აღზრდილმა ქალებმა ამას შემდეგ წერილში დავინახავთ.

(შემდეგი იქნება)

მისაბაძი მაგალითი

ამხანაგ ნინა ხანანაშვილმა შემოსწირა ქ. სამტრედიის ქალთა წრის გასაძლიერებლათ 10 მ. რისთვისაც გამგეობა მადლობას უხდის.

ქ. სამტრედიის ქალთა წრის გამგეობა.

სტამბა „ძმობა" პუშკინის ქ. სახლი გოკიელოვისა.